სასალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 76

დამატების № 14

კვირა, 31 აგვისტო 1914 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჯალაბე

ისტორიული მოთხრობა.

(იხ. სურათებიანი დამატება № 13.)

VII

მეორე დღეს, მართალია და ორიც მუშათაგანი, სალხინოს მუშებისგან არჩეული, იდგნენ გრიგოლი დადიანის წინ, უხსნიდნენ მუშების მდგომარეობას და ევედრებოდნენ მოეხსნა ის ახალშემოღებული ხარკი, რომელსაც სახლთუხუცესი აკანონებდა თავისი პირადი შეხედულობით... გრიგოლმა გადაშალა დედოფლისგან მიცემული წესდება, რომლის საზღვრებშიაც ევალებოდა მას ოდიშის მართვა, გადაათვალიერა და გულახდილად გამოუცხადა მუშების წარმომადგენლებს, რომ მას არა ჰქონდა უფლება შეჰხებოდა ასეთს კითხვებს და არც შეეძლო მათი, ასე თუ ისე, დაკმაყოფილება.—„ეს დედოფლის საქმეა,—უბძანა ბოლოს გრიგოლმა გლეხებს,—უმისოდ არავის შეუძლიან ახალი—რამ დააკანონოს და თუ სახლთუხუცესი გავიწროებთ, შეგიძლიანთ უცადოთ დედოფლის დაბრუნებასო“.

ასეთ ახსნამ გლეხებს თვალები აუხილა. ისინი დაჩქარებით გამობრუნდნენ სალხინოში და აუწყეს მუშებს საბხიარულო განაჩენი.

აჩოჩქოლდნენ, ახმაურდნენ მუშები, მაგრამ სანამ ისინი ერთს რომელსამე გადაჭრილ გადაწყვეტილებას დაადგებოდნენ, სახლთუხუცესიც გავარდა დადიანისაკენ. იმანაც შესჩივლა გრიგოლს. აუხსნა საქმის ვითარება და მოსთხოვა ძალა მუშების დასამორჩილებლად... მაგრამ გრიგოლმა, იმავე წესდების ძალით, სახლთუხუცესიცი მა ვე პასუხით გაისტუმრა, როგორითაც ყმები დააკმაყოფილა.

წმ. იოანე გუთელი ეპისკოპოზი.

(იხ. დღ. „სახალხო ფურცელი“)

რა გზას უნდა დასდგომოდნენ ახლა მუშები? რა ექნათ? ეს თავსამტვრევი კითხვა ყინულის ლოდივით იდგა თითოეული მათგანის თავში... იყო ორი გზა—გზა ჯვარედინი, მარცხნით ეწერა:—„დამშვიდდი, დამორჩილდი ბედს; იყავი მონა, მონა საუკუნოდო“. მარჯვნით:—„წადი, გაშორდი მტარვალს, მაგრამ რაც შემდეგ მოგივიდეს, შენს თავს დააბრალეო“. ეს ამოცანა, საუკუნოებით მონობაში მყოფ ხალხისთვის, მძიმე ასახსნელი შეიქნა, რაც საიდუმლოდ არ დარჩა სახლთუხუცესისთვისაც. შეატყო თუ არა მუშებს ყოყმანი, განიზრახა ამით სარგებლობა, გამოუძახა სასახლეში მოსამსახურე ბიჭებს, თავის ძმის—ივანე ჩიქოვანის მეთაურობით და იხმარა ძალა გამდგარ მუშებზე... ვინ იცის, როგორ დატრიალდებოდა საქმე, რომ აქ დავითი არ გაჩენილიყო! ის, თითქო მიწიდან ამოძვრაო, მუშის ტანისამოსში, ხელში სამუშაო იარაღით, დადგა მუშების წინ და მქუხარე ხმით დასძახა:

— „ჰკა მაგათ! ჯოხი მაგათ, ძმებო, ჯოხიო!..“

— სწორედ ეს იყო საჭირო. წამი ისეთი იდგა, რომ ერთი ვინმე მეთაურთაგანის წამოძახილს შეეძლო მუშები ისევ სახლთუხუცესიც მორჩილებაში ჩაეყენებინა, მაგრამ ერთსავე სხვანაირად წამოძახილს შეეძლო იმ საშიშ გზაზე დაეყენებინა მუშები, საითაც წასვლას ისინი ჩოთირობდნენ.

—„ჯოხი მაგათ, ჯოხიო“,—ხელმეორედ წამოიძახა დავითმა და ხელმარჯვედ დასცა ერთს სასახლის ბიჭთაგანს ლაზათიანად მოქნეული ჯოხი. ამან გადასწყვიტა საბედისწერო კითხვა; გახურდა გული ხალხისა:

— „ჯოხი მაგათ, ჯოხი!“—დასძახეს ერთხმად მუშებმაც, პასუხად დავითის წამოძახილისა და მიაშურეს სასახლის ბიჭებს... საქმე ცუდად დატრიალდეაოდა, რომ მეთაურ ჩიქოვანს გაქცევით არ ეშველებინა თავისთვის. წავიდა ჯოხი ხმარებაში და მძიმედ ნაცემი სასახლის ბიჭებიც მიიმალ-მოიმალნენ.

— „კირიალეისანი, ძმებო, ახლა კირიალეისანი“,—იყო მესამე წამოძახილი იმავე მუშისა, რომელმაც პირველი განკარგულება მოახდინა და გაიშვირა ხელი სასახლის ჭისკრისკენ, რითაც ანიშნა, რომ დროა დავცალოთ ეს ჯოჯოხეთური ადგილიო.

„კი-რია-ლე-სანი!..“ [1])—განხდა დგრიალი და მას ფეხიც ააყოლეს მუშებმა... ცოტა კიდევ და ისინი შორს იყვნენ სასახლიდან, წამოიშალნენ ველად და თავისუფლად ამოისუნთქეს... ეს იყო პირველი ნაბიჯი, მაგრამ ნაბიჯი არა მონური, არა უფლება შეზღუდული, გაპირუტყვებული ხალხისა, არამედ თავისუფალი ადამიანის,—რომელმაც დაჰგმო ის საზარელი წესი, რომელიც ერთს აბატონებდა—აჰყავდა ცამდის და მეორეს აპირუტყვებდა—ჩაჰყავდა ქვესკნელამდის... დიახ, ნაბიჯი პირველი! მაგრამ მეორე? რომელი გზით, რომელი მხრით უნდა გაედგა ამ ხალხს ნაბიჯი მეორე? ეს ისევ აუხსნელად რჩებოდა... მაგრამ თუ წყარომ სადმე თავა იჩინა და ის სათავეში არ გაშრა, არ შეიძლება მისგან გადმონასროლმა ნაკადულმა გზა არ გაიკვლიოს, არ შეუერთდეს ამა თუ იმ მდინარეს და ზღვაში თავი არ ჩარგოს. ეს კარგად იცოდა დავითმა და მისი წყურვილიც ის იყო, რომ წყარო სათავეშივე არ გამშრალიყო.

— მართალია!—დაიძახა მან აღელვებული ხმით, როცა შეატყო, რომ ეს-ეს არის, ხალხი დაადგება იმ გადაწყვეტილებას, რომ დაიფანტოს თავიანთ სახლებშიო,—შენ ხარ დღეს ჩვენი მამა, ჩვენი წინამძღვარი; შენ მოგვიტანე კაი ამბავი... გაგვიძეხი წინ, წინ, მარ-

---

[1]) კირიე-ელეისონ, რაც ბერძნულით, უფალო შეგვიწყალენს ნიშნავს, ოდიშში სახალხო სიმღერათ არის გადაკეთებული. მას მღერის ხალხი ყოველ სამხიარულო დროს; უფრო საღამოობით, როცა ათავებს, ან თავს ანებებს მუშაობას. მასვე დასძახებს აღდგომა დილასაც, ტალინიის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲜᲘ:

ᲙᲝᲠᲜᲔᲢᲘ ᲗᲐᲕ ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔ.

თალია, აგვიყვანე ე იმ მთაზე, მთაზე, მართალია... იქ დავძახოთ ყიჟინა, დაუკრათ ბუკი, დაუძახოთ ჩვენს მოძმეებს, შემოვიერთოთ ისინიც, იმათაც ვაუწყოთ, რომ დადგა დრო, დრო სანატრელი!..

— მართალია, მართალია!—გაისმა აქა-იქ ხალხში ზანტად ძახილი.

— ერთხმად, ძმებო, ერთხმად, თორემ დავიღუპებით,—უფრო აღელვებულის ხმით დაიქუხა დავითმა და სიმწრით გასისხლიანებუ-თვალებით მიუბრუნდა ხალხს:—იცით, ძმებო, რა ვქენით ჩვენ დღეს? დღეს ისეთი საქმე ჩავიდინეთ, რომ თუ ეხლა უკან დავიხიეთ, თუ ეხლა დავიფანტეთ, თითო-თითოდ დაგვიჭერს სახუცეცი და ისეთ დღეს დაგვაყენებს, რომ ჩვენ ცოლ-შვილს ჩვენივე კბილებით ვგლეჯდეთ. მთაზე, ძმებო, მთაზე; დაუძახოთ ჩვენს ძმებს და გამოვაცალოთ სახუცეცს ძალა... შიში ნურავის გაქ, სანამ ჩვენ ერთად ვართ, ჩვენს სახლ-კარს ვერავინ შეეხება, თითსაც ვერავინ დააწებს... ასე, ძმებო, ასე და თუ ასე არ ვქენით, იცოდეთ, რომ წითელი პარასკევია დღეს ჩვენთვის, დღეს დაიღუპა ჩვენი თავი, ჩვენი ცოლ-შვილი, ჩვენი სახლ-კარი... იქ-იქ, იმ მთაზე გავითენოთ აღდგომა!.. იქიდან რომ დავძახებთ, შორს გავარდება ხმა და იმაშია ჩვენი ხსნაც... იქ უნდა შევფიცოთ ერთმანეთს, რომ სანამ თბილი ვართ, არავის დავნებდეთ... დაუძახეთ მართალიას; მართალია ჩვენი წინამძღვარი—მართალია.

— მართალია, მართალია! მთაზე-მთაზე... წინ, მართალია, წინ; გაგვიძეხი წინ!—იგრიალა ერთხმად გონს მოსულ ხალხმა და მოუთმენლად უწყო მართალიას ძახილი.

მაგრამ გაფითრებული და გონება გაყინული მართალია ერთს და იმავე ადგილზე იდგა და, თითქო დამბლა დაეცაო, ხმას არ იღებდა; შიშის გამო, ტუჩები გაცივებოდა.

დავითმა კარგად იცოდა, რა ფასიც ჰქონდა ხან და ხან წამს! იცოდა, რომ თავის დროზე და ადგილზე წამით შეიძლებოდა დიდი რამეს გაკეთება, მაგრამ შეიძლებოდა დიდი რამეს გაფუჭებაც. ამიტომ ხალხს მართალიასთვის შიში რომ არ შეემჩნია, შურდულივით მივარდა მას, სტაცა ხელი, გამოიყვანა და წინ დაუყენა ხალხს.

— აგერ არის მართალია! გავყვეთ,—დაიძახა დავითმა და ხელის გაქნევით ანიშნა ხალხს დანძრეულიყო.

— კი-რია-ლე-სან!—იგრიალა ხალხმა და გაჰყვა მართალიას რომელიც მკლავში ხელჩაკიდებული მიჰყავდა დავითს.

— შენ დამღუპე მე, შენ ჩადექი ჩემი ცოლ-შვილის ცოდვაში,—წყენით უთხრა მართალიამ დავითს, როცა ცოტა ღონე მოიკრიბა.

— რა მოხდა, მართალია, რამ შეგაწუხა?

— როგორ თუ რა? შუა ცეცხლში ჩამაგდე და—რა მოხდაო,—მეუბნები?.. შენ არ შეგემზადებინა ე საქმე, ვიქნებოდი ჩემთვინ მოსვენებულად... გავიჭირე საქმე, მაგრამ რავა გავიჭირე! დავეჭიდე, მარა ვის დავეჭიდე!

— ტყვილად წუხარ, შენ ნუ მომიკვდები!.. იმისა წუხარ, რაც უნდა გიხაროდეს!..

— ახლაა კიდე და წინ წამიგდე... ის გინდა, რომ ხალხს შემევევლო თავზე!.. რა ჩემი საქმე იყო ეს? ამისთანა საქმე შენ უნდა მიგეღო; სიტყვა იცი და პასუხი, ქვეყნის გამოცდილება შენ გაქ, თვალი გიჭრის და გული... მე რა? გობსა და ჯამს არ გავშორებიჭარ, იმისთანა კაცმა რა უნდა გავარიგო ამ ცეცხლსა და გენიაში?! ტყუილად თავს დავიღუპავ და მეტი არაფერი!

— რად ფიქრობ მაგრე, მართალია? როგორ თუ არაფერი გამოვა? ღმერთმა ნუ ქნას!—წყენით შენიშნა დავითმა,—ერთ დღეს ერთად დავიხოცოთ უკეთესია, მინამ აქედან არაფერი გამეევიდეს! შენისთანა ჭკვიანი კაცი მაინც როგორ არ უნდა ხედავდე, რომ დღეიდან გამარჯობა ჩვენია... როცა ნიადაგი მომზადებულია, თოვლიან მთის წვერიდან ჩიტის კვერცხიც რომ დაგორდეს საკმაოა; მას ისე მოედება გზაზე თოვლი, ისე გაიზდება, ისე საზარელი ხათქახუთქით გამოექანება, რომ ვაი მას, ვინც გზაზე გადეღობება. კვერცხი დაგორებულია ეხლა და დაგორებულია იქიდან, საიდანაც უნდა დაგორებულიყო, სწორედ მთის წვერიდან; მას ჰყვება ეხლა მთელი ოდიში, გამოექანება უშველებელი გრიალით და ჩვენს ბატონებს თვალიც დაუდგება.. სხვა საქმე იქნებოდა, რომ ვინმე აზნაურის, ან თავადის საყმოში ატეხილიყო არეულობა! მაშინ საიმედოც არაფერი იქნებოდა მაგრამ ზავი მთის წვერიდან არის დაგორებული და როგორ გგონია? ამას რამე შეაჩერებს?.. ღმერთი ჩვენკენაა!.. ცოტა მარჯვეთ დაუხვდეთ საქმეს და მალე ვნახავთ, რომ ბატონები სოროებში იმალებოდეს...

— ღმერთმა გისმინოს; შეიძლება ასედაც მოხდეს, მაგრამ ჩემი თავის იმედი მაინც არ მაქ... შენ დაუდექი ხალხს წინამძღვრად—შენ და მერე უფრო იმედი მექნება,—გულღიად უთხრა ცოტა იმედმოცემულმა მართალიამ.

— გამიგონე, მართალია! ხომ იცი, არაფრის არ მეშინიან; დიდის სიხარულით მივიღებდი წინამძღვრობას, მაგრამ წინამძღვრობა ცოტა ხანშიშესულ კაცს შეშვენის და მეორედ, მე რომ აქ გავჩერდე, ჩემს საქმეს ვინ გააკეთებს?..

— ამაზე დიდი საქმე რა უნდა იყვეს? ამას მიატოვებ და სხვაგან მიდიხარ?—გააწყვეტინა მართალიამ დავითს სიტყვა.

— დიახ, სხვაგან უნდა წავიდე; უნდა წავიდე და მთელი ოდიში უნდა ავშალო... სადაც მივალ, ისე არ გამოვალ, სანამ ბატონს და ყმას ჭირივით არ გადავკიდებ ერთი-მეორეზე...

— მერე რად გინდა? ხო არ გადირიე კაცო! რაც აშლილია ის არ ეყოფა, რომ კიდე უმატებ სიავეს?!—სასოწარკვეთილებით შეეკითხა თავზარდაცემული მართალია.

— ვაი ჩემო დღეო! რა ვქნა, რომ შორს არ იხედები!.. მართალია! ახლა თუ მთელი ოდიში ფეხზე არ დადგა, დედის ნაშობთაგანი არავინ იქნება თქვენზე გაჭირებული!.. არ იცი, ჩიქვანი ისე არ მოისვენებს, სანამ დადიას ჯარს არ გამოართმევს თქვენი დასამორჩილებლად!.. მართალია, გრიგოლი იმას ჯარს არ მისცემს, მაგრამ მარტო გრიგოლი როდი არჩევს სასახლეში საქმეს' იქ საქმე ეკითხება მის ძმას კონსტანტინეს, ჭყონდიდელს და სხვას. ასე იქნება თუ ისე, გრიგოლს დაიყოლიებენ და ჯარს მიაცემინებენ. მაშინ რაც დღე თქვენ დაგადგებათ, იმაზე, უკეთესია, არ ვილაპარაკოთ... მაგრამ ჯარი ვისგან შედგება? მას შეადგენს თავად-აზნაურობა და სიმარჯვეც ეხლა გვინდა, რომ ისე ოუშალოთ თავად-აზნაურებს ყმები, რომ ჯარის შედგენა და დედოფლის მიშველება კი არა, თავიანთი თავისა არა გეეგებოდეთ რა.

ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲜᲘ:

ᲙᲝᲠᲜᲔᲢᲘ ᲗᲐᲕ. ᲚᲔᲜᲙᲝ (ᲚᲣᲙᲐ) ᲗᲐᲠᲮᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

— ჰმ!.. გავიგე, გავიგე!.. მე ისევ ჩვენს საქმეზე ვფიქრობდი, თუ როგორ უნდა მეგვეწყო საქმე სახუცეცთან, როგორ უნდა მოვრიგებოდით!.. მარა შენი სჯობია—შენი... ახლა ნულარას მეტყვით, ყველაფერი გავიგე—ყველაფერი; ვენაცვალე შენს სახეს! ეს ძაანი აზრია... მაგრამ მე მაინც რო არა მაქ ჩემი თავის იმედი! ეს მეტად დიდი საქმეა და თავი რო ვერ მივადევნო, მაშინ რა მიწა გავითხარო!

— კაი, რახან ასე გეშინიან მე ხვალ საღამომდის მოვიყვან თავკაცს, მაგრამ მანამ კი შენ უნდა გაუძღვე საქმეს.

— ბატონი ბძანდები... მაგრამ მითხარი რა უნდა ვქნა!

— რა უნდა ქნა?! ამის სწავლება შენთვის საჭირო არაა, მაგრამ თუ ჩემი აზრიც გინდა გაიგო, აი რას გირჩევ: პირველად შენ თითონ უნდა გამხნევდე, რომ არაფერი შიში და რიდი კაცმა არ შეგატყოს. ხალხის გამხნევება და დაშინება პირველად შენზე ჰკიდია... ეხლა ძაანი წათამამებულია, გაუძეხი და ი მაღალ გორაზე აიყვანე. სუყველა საყდრებიდან დაიბარე ბუკები და ააგრიალეთ, უწყვეტლივ აყვირეთ; დაცხეთ ყიჟინა, შესძარით მთელი ეს მხარე; ახლო-მახლო სოფლებში დაგზავნე კაცები და გაეცი ბძანება, რომ ვისაც კი სიაროული შაუძლიან ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ყველა აქ მოიყვანონ; თვალ-ყური უგდე, რომ ვინმე ავი სული არ შემეგეპაროს, მღვდლებს შაუთვალე, რომ მოასვენონ ძლიერი ხატები და თითონაც არსად წავიდნენ ჩვენს მოსვლამდე... ახლა შვიდობით, მელოდე ხვალ საღამოს,—დაუმატა დავითმა და გაშორდა მართალიას.

— ღმერთმა გზა შვიდობისა მოგცეს,—მიაძახა მართალიამაც და ბრწყინვალე სახით მიუბრუნდა ხალხს, აცნობა მიზეზი დავითის წასვლისა და გააგებინა ისიც, რომ იმ დღიდან შეუძლებელი იყო სახლთუხუცესთან გარიგება.—„დღეიდან, ი რაღაც ორი კაკალ სიმინდზე, რასაც არ გვითმობდა სახუცეცი, ლაპარაკიც არ შაიძლება, —მტკიცედ უთხრა ხალხს მართალიამ,—წავიდა ი დრო, როცა ჩვენ სახუცეცს უჩოქდებოდით და ღმერთივით შევთხოვდით არ წაელო ჩვენგან ი ორი კაკალი სიმინდი მაინც... ახლა „სი“-ც ჩვენია და „მინდიც“, ჩვენი თავიც და ჩვენი ცოლ-შვილიც. მთლად უარი უნდა უთხრათ ბატონებს! ნუ გვინდა უსამართლო დადია, უღმერთო ბატონი... ნუ გეშინიანთ, ჩვენ ბევრი ვართ და ისინი ცოტა; ჩვენ მეევრევით მათ!..“

საფრანგეთის ჯარები: აფრიკის მსროლელები —„ზუავები“.

— არაფრის არ გვეშინიან - არა; არ გვინდა უსამართლო დადია, უღმერთო ბატონი... რისი (რუსი) მოვიდეს, თათარი მოვიდეს, ის იყოს ჩვენი დადია. ჩვენი ბატონი და ჩვენი დადია არ გვინდა—არა, არა, არა! — ერთხმად იგრიალა ხალხმაც.

— როგორც ქუდს ვამხობ, ისე დაამხოს მიქელ-გაბრიელმა იმისი ოჯახი, ვინც ამ აზრს უღალატოს, ვინც ერთმანეთს არ ამოუდგეს!—წამოიძახა მართალიამ და თავდაღმა დაამხო ქუდი.

— ა-ა-ამენი... გასწყვიტოს, გასწყვიტოს ღმერთმა ცოლით და შვილით, თეთრით და საქონლით; მაღალმა ღმერთმა გაწყვიტოს,— ხელმეორედ იგრიალა ხალხმა.

ამის შემდეგ, გამხიარულებული მართალია გაუძღვა მხიარულადვე მომღერალ ხალხს იმ მთისკენ, სადაც უნდა დაბანაკებულიყვნენ მეთაურის მოსვლამდის.

VII

სოფ. ჯვარში, ზუგდიდის დიდი გზის პირად ერთი სამჭედლო იდგა. ეს სამჭედლო, გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებდა ხალხს თავისი პირდაპირი დანიშნულებით, აკმაყოფილებდა მეორე ნაირადაც: ის იყო მთელი იმ კუთხის თავშესაქცევი ადგილი. იქ იყრიდა თავს ხალხი: გადიოდა ერთი, შემოდიოდა ორ-სამი; გადიოდნენ-შემოდიოდნენ... მგზავრის სულის მოსაბრუნებელი ადგილიც ხომ ის იყო! არ შეიძლებოდა მგზავრი იქ არ გაჩერებულიყო, არ შეესვენა, რამე ახალი ამბავი არ ეთქვა და ახალი—რამ თითონაც არ წაელო... ერთის სიტყვით, ეს შენობა უფო სასტუმროს ჰგავდა, ვიდრე სახელოსნოს... რა იზიდავდა იქ ხალხს? სტუმრის მოყვარეობა და ენაწყლიანობა სამჭედლოს პატრონისა.—უტუ მიქავა [1]), რომელსაც ეკუთვნოდა ეს სახელოსნო, ერთობ სტუმრის მოყვარული იყო. ის იმდენ დროს არ ხარჯავდა თავის ხელობისთვის, რამდენსაც კარგავდა სტუმრების შექცევაში, ჰქონდა გამოულეველი მასალა საამბო, საოხუნჯო და შესაქცევი, რითაც იქცევდა, აცინებდა და ალხენდა სტუმრებს და მით ლხენა-სიამეს გრძნობდა თითონაც... ის ბევრს ცნობას და ცოდნასაც აძლევდა ხალხს, მაგრამ უფრო მეტს კრებდა და იძენდა თითონაც... ამ სახით, ნიჭიერი, გონიერი, დაკვირვებული და ცნობისმოყვარე უტუსთვის მაღალი სასწავლებელი შეიქნა მისი სამჭედლო, სადაც ის გაიხეხა, გაილესა და დიდძალი ცოდნა-გამოცდილება შეიძინა... გარდა იმისა, რომ უტუ მოსწონდათ ენაწყლიანობით, ის გარეგნული შეხედულობით და საქციელითაც ხიბლავდა ხალხს: საშუალო და შეთანხმებული აგებულობის, 35—37 წლის, ლამაზი და გახსნილი პირისახის, მუდამ კოხტად ჩაცმული, მოძრავი და ცქვიტი ტანის უტუს, ხასიათი და საქციელიც ისეთი ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა მნახველის გულში საპატიო ადგილი არ მოეპოებინა. ამ სახით, ყოველნაირად განსხვავებულ ადამიანს, განსხვავებული ყურადღებას აქცევდა ხალხიც: უყვარდა, ენდობოდა, აფასებდა და ყოველს ჭირსა და ლხინში მასთან მირბოდა რჩევისთვის... ამის გამო უტუს სახელი შორს გაისმოდა: მთელს ოდიშში ის ცნობილი იყო, როგორც უპირველესი და უწარჩინებულესი ყმათაგანი. [1])

შუაღამე იქნებოდა, როცა უტუს ეზოში მოისმა გაცხარებული ყეფა ძაღლებისა. ისინი შურდულივით გავარდნენ იქით, საითაც მოესმათ ჭრიალი ჩელტის ჭისკრისა, მაგრამ მალე შესწყვიტეს აურ-ზაური. მათ იცნეს სტუმარი და, თითქო სალამი მისცესო, ღრენა-წკმუტუნით შეეგებნენ მას. ამ დროს უტუ გარედ იდგა. ის პირველსავე ყეფას აჰყოლოდა, მოეგდო ახალრხი და გამოსულიყო გარედ, რომ მიშველებოდა თავის უებრო მეგობრებს. — „უთუოდ შინაურია“, — სთქვა უტუმ, როცა ძაღლებმა ყეფა შესწყვიტეს და გასწია სტუმრის შესაგებებლად.

— გამარჯობა უტუ! — მისცა სალამი სტუმარმა მასპინძელს, როცა ისინი დაუახლოვდნენ ერთი-მეორეს.

— დავითი!—გაოცებით წამოიძახა უტუმ. — ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგაკლოს, მარა ე რა ამბავია ამ შუაღამისას? რაღაც კაის მახარობელი უნდა იყვე, რო ასე უდროოდ გარჯილხარ!

— უდროოდ მოსულს ავის მოტანაც შაუძლიან მაგრამ შენ მაინც მიმიხვდი... სიზმარი ხო არაფერი გინახავს, უტუ, სიზმარი?— არხეინად უთხრა დავითმა.

— სიზმარი! ჰმ!.. მართლაც რომ ვნახე სიზმარი, მაგრამ მტერსაც აშოროს ღმერთმა, რაც მე გადამხდა!

— ჰო, მართლაც სიზმარს მოყევი?

— მართლა-მართლა! თითქო სიზმარიც ცხადის შემოჩენილიაო, ისიც არ ინდობს ჩვენს კაცს!

— თქვი მაინც, რა იყო!

— აი, შევიდეთ სახლში, ცეცხლი დავანთოთ და გეტყვი...

(შემდეგი იქნება).

კირილე წუთისოფელელი.

---

[1]) სახელი და გვარი ნამდვილია.

[1]) უტუს მჭერმეტყველობამ, მოსწრებული სიტყვა-პასუხმა, გონიერი მსჯელობამ და სითამამემ განცვიფრებაში მოიყვანა თვით რუსის გენერალი—კოლიუბიაკინიც.

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲝᲛᲘᲡᲐ

(ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ)

ტფილისი, მუხრანის" ᲥᲣᲩᲐ," ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲛᲠᲝᲛᲐ". რედაქტორ-გამომცემელი დ. ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲔ.